

## არაფორმალური ეკონომიკა: დიაგნოზი და გამოსავალი

### ლელა რეხვიაშვილი

ფართოდ გავრცელებული არაფორმალური ეკონომიკა სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის საზიანოდ მიიჩნევა. 2010 წლისთვის პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში არაფორმალური, ჩრდილოვანი ეკონომიკის ზომა მთლიანი შიდა პროდუქტის 35-65 პროცენტს შორის ვარირებდა. მაშინ როცა ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიისპირეთის და ბალკანეთის ქვეყნების მაჩვენებლები 15-35 პროცენტს არ ცდებოდა. მკვლევარებმა ამ პრობლემის დიაგნოზი ჯერ კიდევ 1990-იანი წლების ბოლოს დასვეს და ცენტრალურ გამოწვევად სახელმწიფო ინსტიტუციების სისუსტე, კორუფცია, მაღალი გადასახადები, რეგულაციების სირთულე და სიმრავლე დაასახელეს. მიუხედავად საერთაშორისო დონორების მიერ გაღებული რესურსების და ადგილობრივი პოლიტიკოსების ანტიკორუფციული რიტორიკისა, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების უმეტესობას არც კორუფციის და არც არაფორმალური ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი შემცირება არ განუცდია. ამ ფონზე საქართველო უნიკალურ მაგალითად იკვეთება და გვამღევეს კორუფციის შემცირების, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერების შედეგების შესწავლის საშუალებას.

ლექციების კურსის ცენტრალური მიზანია არაფორმალურ ეკონომიკაზე არსებული ცენტრალური თეორიების: დუალისტური, ინსტიტუციონალისტური, სტრუქტურალისტური, და პოსტ-სტრუქტურალისტური პერსპექტივების კრიტიკული განხილვა. ამ მრავალფეროვანი ლიტერატურის საფუძველზე ლექციების კურსი დაფარავს: [1] არაფორმალური ეკონომიკის მნიშვნელობას სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისთვის (ან ამ განვითარების შეფერხებისთვის), [2] არაფორმალური ეკონომიკის არსებობის და ზრდის მიზეზებს, [3] არსებულ გამოსავლებს არაფორმალური ეკონომიკის და მისი სოციალური მნიშვნელობის შესამცირებლად. ლექციები დაეყრდნობა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების, ყველაზე ვრცლად კი საქართველოს გამოცდილებებს. ერთის მხრივ კურსი განიხილავს არაფორმალური ეკონომიკური ურთიერთობებს მიკრო-პროცესებზე დაკვირვების გზით. მეორეს მხრივ, კურსი აჩვენებს აღნიშნული მიკრო-პროცესების ზოგად რელევანტურობას და არაფორმალური ეკონომიკის შესწავლის მნიშვნელობას ეკონომიკური განვითარების თეორიებისთვის.

კურსი ინტერაქტიულ გარემოში წარიმართება. დამწრეებს არ მოეთხოვებათ რელევანტურ ლიტერატურასთან წინასწარ გაცნობა. მიუხედავად ამისა, მათი ჩართულობა, დისკუსიაში მონაწილეობის სურვილი უმნიშვნელოვანესი იქნება კურსის წარმართვისთვის.

**ლექცია 1-2. დუალისტური, ინსტიტუციონალისტური, სტრუქტურალისტური, და პოსტ-სტრუქტურალისტური პერსპექტივები არაფორმალურ ეკონომიკაზე**

- კონცეპტის დეფინიცია: არაფორმალური ვერსუს არალეგალური ეკონომიკური გაცვლები
- განსხვავებული თეორიული მიდგომები: პრობლემების დიაგნოზი და არსებული გამოსავლები

**ლექცია 3-4. არაფორმალური ეკონომიკა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში**

- პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მდგომარეობის შედარებითი ანალიზი
- სოციოლოგიური და ანთროპოლოგიური კვლევები

**ლექცია 5-6. საქართველოს მაგალითი: წარმატება თუ მარცხი?**

- არაფორმალური გაცვლების ისტორიული მნიშვნელობა
- პოსტ-რევოლუციური რეფორმები და მისი (მაკრო) სოციალ-ეკონომიკური შედეგები

**ლექცია 7-8. მიკრო ქეისი და არსებული თეორიების გადასინჯვა**

- თბილისის გარემოვაჭრეები და არსებული თეორიების ლიმიტები
- ალტერნატიული თეორია არაფორმალურ ურთიერთობებზე და მისი მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარების თეორიებისთვის